

ტურიზმის ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამითა და პირობათა გაუმჯობესების საქართველოში

მაია ალადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა

დოქტორი ეკონომიკაში

თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში სულ უფრო ფართოდ ებმება დამოუკიდებელი საქართველო, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოხდება თვისობრივი ცვლილებები, ანალოგიური იმისა, რაც XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოსთვის იყო დამახასიათებელი.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, ჩვენი ქვეყნისათვის გაცილებით რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ დგას სიღარიბის პრობლემა. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორის მიზანმიმართულად და კომპლექსურად გამოყენებას, როგორიცაა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარება.

ტურიზმის, როგორც მომსახურების სახეობის განვითარების უპირველეს მიზანს სარგებლის მიღება წარმოადგენს, რაც მიიღწევა ტურისტების მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზით. ამდენად, ლოგიკურია, რომ ტურიზმის შესწავლა ეფუძნება ბიზნესის კონცეფციას.

საქართველოს, ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს მისი კლიმატი, ზღვა, მთები, უნიკალური ლანდშაფტები, ჰიდრომინერალური რესურსები, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, კულტურულ-არქიტექტორული ძეგლები და მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა. ყოველივე ეს ქვეყანას, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ბუნებრივ

და საკურორტო პოტენციალის შექმნას არ სჭირდება დამატებითი კაპიტალდაბანდება.

გამომდინარე საქართველოს ისტორიული და ბუნებრივი პირობებიდან, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებს შორის, მიმდინარე პერიოდში, ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა სასოფლო ტურიზმი.

პროფესიულ ტურისტულ ბიზნესში სასოფლო ტურიზმს, როგორც საქმიანობის საკმაოდ შემოსავლიან სახეობას, რეგიონების ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე და საკმაოდ პოპულარულია ტურისტთა შორის.

სასოფლო ტურიზმი არის ტურისტთა მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში, დასვენებისა და ადგილობრივი ტრადიციების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მაცხოვრებლები არიან. ტურიზმის ეს მიმართულება ითვალისწინებს: ტურისტთა განთავსებას ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში, კვებას ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით, სოფლის ცხოვრების გაცნობას და ხშირად, მონაწილეობასაც კი. ადგილობრივი მაცხოვრებლები სოფლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავენ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას.

სასოფლო ტურიზმის წარმატებული განვითარება არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ აუცილებლად საჭიროებს შესაბამის დაგეგმვას და მართვას. ადგილობრივმა მოსახლეობამ, ტურისტთა მოსახურებისათვის აუცილებლად უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება.

ტურიზმის ეს სახეობა, თავისი მახასიათებლების მიხედვით, ძალიან ახლოს დგას აგროტურიზმთან. დღევანდელი მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში, მაშინ, როდესაც დიდი ქალაქების ორომტრიალში ჩაბმული ადამიანები მუშაობენ გადამღლევი ტემპებით, მათი ჯანმრთელობა და სულიერი განწყობა მოითხოვს დასვენებას ბუნებაში, მშვიდ და წყნარ გარემოში, სუფთა ჰაერზე, ეკოლოგიურად სუფთა საკვებსა და წყალს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ჩნდება ბუნებასთან სიახლოვის და სოფლის გარემოს ნოსტალგია.

აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების

ეკონომიკურ აღმავლობას. გასათვალისწინებელია, რომ აგროტურიზმი, ისევე როგორც სასოფლო ტურიზმი, არ მოითხოვს ისეთ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, როგორც სჭირდება საკურორტო ინფრასტრუქტურას და ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად საჭიროა გაცილებით ნაკლები ხარჯები.

საქართველოში ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები ხელს უწყობს სასოფლო და აგროტურიზმის განვითარებას, რომელიც შიდა ტურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს შორის, შიდა ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამუშავდა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტი, რაც ითვალისწინებს სოფლის მცხოვრებთა სახლების სასტუმრო სახლებად გადაკეთებას, ასევე ტურიზმში ჩაბმული მოსახლეობის გადამზადებას და ტრენინგებს (სასტუმრო მენეჯმენტი, გიდი-გამყოლი და ა.შ.).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმს, ისევე როგორც ყოველგვარ სამეწარმეო საქმიანობას, საკუთარი მიზნების მისაღწევად საწყისი კაპიტალი სჭირდება, ხოლო შემდგომ, საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აგროტურიზმში დასაქმებული მეწარმე ძირითადად სოფლად მაცხოვრებელი ფერმერია, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია აკუმულირებული კაპიტალი, მცირე ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ საბანკო კრედიტი რჩება.

ბანკები კრედიტს უპირატესად კრედიტუნარიან, მომგებიან და მზარდ მეწარმე ფერმერზე გასცემენ. სესხის ოდენობის დადგენაში მათ სხვა სახის ფინანსურ ანგარიშებთან ერთად, ორი ძირითადი ფინანსური დოკუმენტი უნდა დაეხმაროს – საბალანსო უწყისი და მოგება-ზარალის ანგარიში. წარსული საქმიანობის შედეგი არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის კრედიტუნარიანობას და შემდგომში მომგებიანობას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ტურიზმის ბიზნესის სუბიექტები, სეზონურობიდან გამომდინარე, განიცდიან ფულადი საშუალებების უკმარისობას, რომელიც საჭიროა როგორც სეზონური ხარჯების დასაფარად, ისე გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ ფერმერთა ძირითადი შემოსავლები მნიშ-

ენელოვნად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე და მიღებულ მოსავლიანობაზე, ხოლო სოფლის მეურნეობის დაზღვევის ინსტიტუტი ჯერჯერობით განუვითარებელია ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ ფერმერები ხშირად დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე, რასაც თან სდევს მათ მიერ აღებული სესხების ვადებში დაუფარავობა, საკრედიტო რეიტინგის “გაფუჭება”, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საშიშროება ემუქრება უზრუნველყოფაში გადაცემულ ძირითად ქონებას, როგორიცაა სახლი, სასოფლო მიწა და ა.შ.

მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის გამო, სასოფლო სამეურნეო სესხებზე მაღალი რისკების გამო, საბანკო საპროცენტო სარგებელი წლიური 16 %-დან, 36-48 %-მდე გაიზარდა, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვა ფერმერებს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარდა საბანკო კრედიტისა, არსებობს ბიზნესის დაფინანსების სხვა წყაროც, მაგალითად, ვენჩურული კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს პირად ან გარე ინვესტიციებს, კორპორატიულ ფინანსურ რესურსებს, რომელსაც იძლევა უამრავი ფინანსური ინსტიტუტი და კორპორაცია, საინვესტიციო ბანკები და უცხოური კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები. მაგრამ ვენჩურული კაპიტალის მფლობელები ყოველთვის ესწრაფვიან მაღალი სარგებლის მიღებას ინვესტირებული კაპიტალდაბანდებიდან და აგრეთვე, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ცდილობენ გადააქციონ საწარმო აქციონერულ საწარმოებად, მათი აქციების შეძენის გზით, დაიპყრონ საკვანძო პოზიციები მათ ბიზნესში და ჩაერიონ საწარმოს მართვაში, რითაც მფლობელები დაკარგავენ კონტროლს თავის ბიზნესზე.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ფერმერისთვის მისი ბიზნესის დაფინანსების ერთადერთ საშუალებად რჩება ბანკის კრედიტი, მიუხედავად მაღალი საპროცენტო სარგებლისა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბანკები აფინანსებენ მხოლოდ უკვე მოქმედ ბიზნესს და არა მის წამოწყებას, ანუ “სტარტაფს”, რაც მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება აგროტურიზმის, როგორც ბიზნესის განვითარების და აგრეთვე, სოფლად სიღარიბის დაძლევის საქმეში.

ტურიზმის განვითარების კონცეფციის გააზრებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია მისი შემაფერხებელი ფაქტორების სწორი ანალიზი, მხოლოდ დარგის წინაშე მდგარი პრობლემებისა და სუსტი მხარეების

განსაზღვრის შემდეგ გახდება შესაძლებელი მათი გადაჭრის გზების დადგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე პერიოდში, დღის წესრიგში დგას ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვისა და სტიმულირების საკითხი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იცნობდეს ტურიზმის განვითარების იმ მასტიმულირებელ ფაქტორებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების მიზნით.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორები შესაძლოა იყოს შემდეგი: სამთავრობო გრანტები; სესხის გარანტიები; წილობრივი მონაწილეობა; ტურიზმის სფეროში საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია; გადასახადების შემცირება; ბანკების მიერ ბიზნესის დაწყების ე.წ. “სტარტაფის” დაფინანსების შესაძლებლობა; ტურიზმის დარგში მცირე ბიზნესის განვითარების წახალისება; ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევების და ეფექტური რეკლამის წარმოება; შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი სატრანსპორტო და სასტუმრო სიმძლავრეების შექმნა.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას თან ახლავს მთელი რიგი სარგებლობა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: დასაქმება; სიღარიბესთან ბრძოლა; სახელმწიფო შემოსავლების ზრდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მთელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის საქმეში.